მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი

ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მის ფასს, მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები ო	კომპიუტერულ ი პროგრამები	სხვა არამატერიალურ ი აქტივები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	394,025	3,942	6,864	404,831
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	394,025	3,942	6,864	404,831
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბერი	(300,164)	(1,909)	(6,864)	(308,937)
ამორტიზაციის ხარჯი	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(300,164)	(1,909)	(6,864)	(308,937)
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერი	93,861	2,034	-	95,895
2023 წლის 31 დეკემბერი	93,861	2,034	-	95,895

6. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	6,300	80,024	214,444	1,639,891	1,940,659
შემოსვლა					
გასვლა					
2023 წლის 31 დეკემბერი	6,300	80,024	214,444	1,639,891	1,940,659
დაგროვილი ცვეთა					
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(34,153)	(202,753)	(1,497,466)	(1,734,373)
ცვეთის ხარჯი					
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(34,153)	(202,753)	(1,497,466)	(1,734,373)
საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	6,300	45,870	11,691	142,425	206,286
2023 წლის 31 დეკემბერი	6,300	45,870	11,691	142,425	206,286

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა/ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრ. მშენებლობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	584,470	4,032,775	4,918,146	4,405,166	-	101,843	831,434	14,873,835
შემოსვლა	-	-	-	-	-	3,143	-	3,143
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	584,470	4,032,775	4,918,146	4,405,166	-	104,986	831,434	14,876,978
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(1,617,310)	(4,364,188)	(4,210,018)	-	(98,874)	(579,008)	(10,869,397)
ცვეთის ხარჯი	-	(128,899)	(116,388)	(63,886)	-	(853)	(22,585)	(332,610)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(1,746,209)	(4,480,576)	(4,273,903)	-	(99,727)	(601,593)	(11,202,008)
საბალანსო ღირებულება								
2022 წლის 31 დეკემბერი	584,470	2,415,465	553,958	195,148	-	2,969	252,426	4,004,437
2023 წლის 31 დეკემბერი	584,470	2,286,566	437,570	131,263	-	5,259	229,841	3,674,970

8. მარაგები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო მარაგი	84,678	53,975
ნედლეული და მასალები	271,959	238,095
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	74,076	44,507
სულ მარაგები	430,712	336,577

2022 წლის განმავლობაში 3,793,489 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

2023 წლის განმავლობაში 6,270,688 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო მოთხოვნები	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,715,572	2,689,805
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,715,572	2,689,805

10. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო მოთხოვნები	-	-
გადახდილი ავანსები	63,756	63,706
სულ გადახდილი ავანსები	63,756	63,706

11. საგადასახადო აქტივები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
საგადასახადო ვალდებულებები	274,276	64,313
სულ საგადასახადო აქტივები	274,276	64,313

12. ფული და ფულის ეკვივალენტი

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ფული ბანკში	52,874	61,228
ნაღდი ფული	118	4,998
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	52,992	66,226

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო ვალდებულებები	673,682	477,943
გადასახდელი ხელფასები	1,779	13,529
სხვა ვალდებულებები	148,460	131
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823,921	491,603

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.

14. სესხები

კომპანიამ 2007 – 2012 წლების პერიოდში აიღო სხვადასხვა მოცულობის სესხები სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“ - სგან. 2015 წლის 9 ივნისს, კომპანიამ გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ჯამური დავალიანება და დაფარვის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სესხი უნდა დაფარულიყო ყოველთვიურად 2021 წლის 9 ივნისამდე. წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 8%-ით. ჯამური დავალიანებამ 2015 წლის 9 ივნისისთვის შეადგინა 213,000 ევრო და 15,680,662 აშშ დოლარი.

2015 წლის 1 ოქტომბერს, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკსა“ და სს „აგროკრედიტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება პრობლემური აქტივების მოთხოვნის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სასესხო დავალიანების მოთხოვნის უფლება გადაეცა სს „აგროკრედიტს“. გადაცემის მომენტში სასესხო ვალდებულება განისაზღვრა 20,737,722 აზერბაიჯანული მანათი. აღნიშნული ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული არც წლიური საპროცენტო განაკვეთი და არც დაფარვის გრაფიკი.

შპს „კავკასიის ბეტონი 2007“-მა 2020 წლის 4 ივნისს გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს „აგროკრედიტ“-თან. ხელშეკრულების მიხედვით სესხი უნდა დაიფაროს ყოველთვიურად, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 5%-ით. სესხის მოცულობა შეადგენს 30,000 აშშ დოლარს.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ სს „აგროკრედიტისგან“ მიიღო 1,430,000 დოლარის ოდენობის კრედიტი, რაც შეადგენს 4,479,903 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სასესხო ვალდებულება შეადგენდა 37,644,684 ლარს. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ დაფარა პარტნიორისგან აღებული სესხის სოლიდური ნაწილი და 2023 წლის ბოლოს მთლიანი სასესხო ვალდებულება შეადგენდა 33,604,107 ლარს.

15. შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი ბეტონის ხსნარის რეალიზაციიდან	6,405,532	7,027,101
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	11,179	299,435
შემოსავალი იჯარიდან	40,686	47,848
შემოსავალი ბეტონის ბლოკის რეალიზაციიდან	314,935	263,993
შემოსავალი ლეჟადინის კარიერიდან	-	-
შემოსავალი ბეტონის ფილების რეალიზაციიდან	-	-
შემოსავალი მომსახურებიდან	164,679	131,352
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,759	4,564
სულ შემოსავალი	6,939,770	7,774,292

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
საწარმოო დანიშნულების საწვავის ხარჯი	(692,075)	(1,030,120)
ავტომანქანების და სპეცტექნიკის ხარჯები	(370,926)	(400,284)
ელექტროენერგია	(340,468)	(362,071)
რემონტის ხარჯები კარიერის ლეჟბადინი	(196,213)	(177,663)
იჯარა ტრანსპორტის ლეჟბადინი	(159,517)	(102,143)
საწარმოო დანიშნულების საწვავის ხარჯი კარიერი ლეჟბადი	(82,738)	(112,751)
რემონტის ხარჯები ცემენტის ქარხანა	(78,779)	(42,031)
საკონსულტაციო ხარჯები	(43,300)	(108,730)
კომუნიკაციის ხარჯები	(17,531)	(12,838)
გაზი	(16,979)	(16,363)
საწვავის ხარჯი საერთო ადმინისტრაციული	(14,534)	(16,554)
მივლინებების ხარჯები (კომერციული)	(14,044)	(7,469)
რემონტის ხარჯები	(10,871)	(1,898)
რემონტის ხარჯი ბლოკის ქარხნის	(8,166)	(6,880)
სხვა საერთო ხარჯები	(6,915)	(8,686)
სასარგებლო წიაღისეულის მომსაკრებელი ლეჟბადინი	(6,653)	(9,198)
დასუფთავება	(3,461)	(3,904)
დაცვის პოლიცია სიგნალიზაცია პულტი	(2,288)	(2,288)
სატრანსპორტო მომსახურება	-	(16,000)
საკანცელარიო ხარჯები	-	(1,164)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,065,458)	(2,439,038)

17. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებული ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

18. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

საინვესტიციო ვალდებულება

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წლის 31 დეკემბერი: ნოლი)

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

დეკემბერი 2023

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,715,572	-	-	2,715,572
გადახდილი ავანსები	63,756	-	-	63,756
სულ ფინანსური აქტივები	2,779,328	-	-	2,779,328
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823,921	-	-	823,921
მიღებული ავანსები	75,150	-	-	75,150
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	33,604,107	-	33,604,107
სულ ფინანსური ვალდებულებები	899,071	33,604,107	-	34,503,177

დეკემბერი 2022

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,689,805	-	-	2,689,805
გადახდილი ავანსები	63,706	-	-	63,706
სულ ფინანსური აქტივები	2,753,511	-	-	2,753,511
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	491,603	-	-	491,603
მიღებული ავანსები	14,485	-	-	14,485
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	32,944,666	-	32,944,666
სულ ფინანსური ვალდებულებები	506,087	32,944,666	-	33,450,753

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2022 და 2021

წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და 2022 წლის 1-ლი იანვრისათვის მოცემულია ქვემოთ:

დეკემბერი 2023

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,715,572	-	-	2,715,572
გადახდილი ავანსები	63,756	-	-	63,756
სულ ფინანსური აქტივები	2,779,328	-	-	2,779,328

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	823,921	-	-	823,921
მიღებული ავანსები	75,150	-	-	75,150
სხვა ფინანსური ვალდებულებები	33,604,107	-	-	33,604,107
სულ ფინანსური ვალდებულებები	34,503,177	-	-	34,503,177

დეკემბერი 2022

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,689,805	-	-	2,689,805
გადახდილი ავანსები	63,706	-	-	63,706
სულ ფინანსური აქტივები	2,753,511	-	-	2,753,511

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	491,603	-	-	491,603
მიღებული ავანსები	14,485	-	-	14,485
სხვა ფინანსური ვალდებულებები	32,944,753	-	-	32,944,666
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,450,753	-	-	33,450,753

21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ის ოპერირებს.

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

	31-დეკ-2023 საბალანსო ღირებულება	სამართლი ანი ღირებულ ეზ	31-დეკ- 2022 საბალანს ო ღირებულ ეზ	სამართლი ანი ღირებულ ეზ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,715,572	2,715,572	2,689,805	2,689,805
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	823,921	823,921	491,598	491,598
სხვა ფინანსური ვალდებულებები	33,604,107	33,604,107	32,944,666	32,944,666

23. ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს; (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

განხორციელდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ურთიერთდამოკიდებულება	დაკავშ. მხარეებთან ბალანსები	დაკავშ. მხარეებთან ბალანსები
მიღებული სესხები	33,604,107	32,944,666

სს აგროკრედიტი
(აზერბაიჯანის რესპუბლიკა) საერთო კონტროლის ქვეშ

სხვა დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2023	2022
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	237,126	266,148
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	237,126	266,148

24. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს უარყოფითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია იმედოვნებს გაუმჯობესებას წინა პერიოდების მსგავსად და დაგროვილი ზარალის ოდენობის შემცირებას. საერთო ჯამში კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს დადებითი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:

თემურაზ აბზასოვ
დირექტორი


ალექსანდრე ჭიჭინაძე
მთავარი ბუღალტერი

11 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერა პირები:



ალექსანდრე ჰოჭინაძე
მთავარი ბუღალტერი

11 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო